

ფემციდის საქმეებზე გამოძიებისა და სასამართლო განხილვის თავისებურებები

მირანდა ტაკიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი,

2022 წელი

განაცხადი:

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მირანდა ტაკიძე

2022 წელი

აბსტრაქტი

ქალთა მიმართ ძალადობა თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვანი გამოწვევაა. გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილი ქალთა მკვლელობა კი ამ ძალადობის უკიდურეს ფორმას წარმოადგენს.

არსებული ნაშრომი სწორედ ამ თემას ეხება. საქართველო დღეს არაერთი პრობლემის წინაშე დგას ამ კუთხით. ამიტომაც ნაშრომში განხილული იქნება ის თემა თუ რა არის ფემიციდი, რა არის მისი გამომწვევი მიზეზები, როგორია ქვეყანაში მისი სამართლებრივი რეგულაცია, რამდენად საკმარისია ფემიციდის პრევენციისა და რეაგირების ინსტრუმენტები.

ისეთი საკითხები როგორც არის გამოძიებისა და სისხლისამართლებრივი დევნის გამოწვევები ფემიციდს საქმეებში წარმოადგენს თემის ძირითად ნაწილს.

თემის მიღმა არ რჩება საერთაშორისო პრაქტიკა და სხვადასხვა ქვეყანაში არსებული სამართლებრივი მდგომარეობა ამ დანაშაულზე.

ფემიციდი და მისი რეგულაცია კოპლექსური და რთული საკითხია ამიტომაც მნიშვნელოვანია დეტალურად იყოს განხილული ყველა ელემენტი, რაც ამ დანაშაულს ახლავს თან.

საკვანძო სიტყვები: ქალთა მიმართ ძალადობა, ფემიციდი, გენდერული დისკრიმინაციის მოტივი, ფემიციდს საქმეების სასამართლო და გამოძიების თავისებურება.

Abstract

Violence against women is a major challenge of the modern world. Murder of women is an extreme form of the violence.

Georgia today faces several problems in this regard. In this thesis I will discuss: What is a femicide? What are causes of it? The main topic of discussion will be: What is its legal regulation in the country? Whether a special approach has been established by the state or not?

Issues such as: the nature of the investigation, problems at this stage, the court approach, and the challenges in femicide cases are the major parts of this thesis.

Therefore, I will discuss international practice and the legal situations in this country.

Femicide is a complex and difficult issue. It is important to consider it in a details and did not miss any parts related to this problem.

keywords: Violence against women, femicide, Motive of gender discrimination, Femicide case in Court and investigation.